

შპს გამა (ს/ნ 204425906)
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს გამას ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.24	31.12.23
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	408 028,63	97 074,65
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	610 869,81	2 080 611,95
სასაქონლო მარაგები		196 100,04	614 164,04
წინასწარ გაწეული ხარჯები		175 895,21	206 328,98
		1 390 893,69	2 998 179,62
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	46 503 408,82	38 060 483,67
		46 503 408,82	38 060 483,67
		47 894 302,51	41 058 663,29
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	2 366 452,36	2 453 644,53
		2 366 452,36	2 453 644,53
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და დარიცხული პროცენტები		39 638 333,41	31 244 062,15
		39 638 333,41	31 244 062,15
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		6 827 496,00	6 827 496,00
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(937 979,26)	533 460,61
		5 889 516,74	7 360 956,61
		47 894 302,51	41 058 663,29

დირექტორი

ლ. ლაფანაშვილი




შპს გამას ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

	2024	2023
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	3 918 485,26	105 785,45
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	291 557,64	-
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(268 944,45)	-
სხვა შემოსავალი	2 514,00	1 000,00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(580 961,50)	(263 284,49)
ცვეთა და ამორტიზაცია	(838 977,55)	(5 090,19)
საპროცენტო შემოსავალი	5 381,04	-
საპროცენტო ხარჯი	(1 149 296,42)	(184 614,39)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 170 397,52)	(724 372,69)
საოპერაციო მოგება	209 360,50	(1 070 576,31)
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(1 680 800,37)	(71 900,95)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(1 471 439,87)	(1 142 477,26)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	(1 471 439,87)	(1 142 477,26)
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	7 360 956,61	8 503 436,15
კაპიტალის გაზრდა	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	(2,28)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5 889 516,74	7 360 956,61

დირექტორი

ლ. ლაფანაშვილი



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გამა (ს/ნ 204425906, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2021 წლის 17 მაის. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჭ. ამირეჯიბის ქ., N2.

კომპანიის მფლობელები არიან:

- ლევან ჭიორელი - 20%;
- ლევან ლაფანაშვილი - 10%;
- შპს „ევრაზია რორო“ (ს/ნ 415092394) - 35%;
- შპს „გლობალ ინვესტი“ (ს/ნ 400325313) - 35%;

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ლევან ლაფანაშვილი;
- დირექტორი - ზურაბ ცაგარეიშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქ. თბილისში, ჭ. ამირეჯიბის ქ., N2-ში მდებარე ბიზნეს ცენტრში ფართების გაქირავება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა თუ იგი არ წარმოადგენს კაპიტალიზებად ხარჯს.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს

ფული და ფულადი ექვივალენტები	2024	2023
ნაღდი ფული	571,15	1 216,40
ფული ბანკში	407 457,48	95 858,25
	408 028,63	97 074,65

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავს

მოკლევადიანი მოთხოვნები	2024	2023
მოთხოვნები მომსახურებიდან	46 444,96	67 838,13
გაცემული ავანსები	557 446,76	1 777 624,92
საგადასახდო აქტივი	6 978,09	235 148,90
	610 869,81	2 080 611,95

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება

მიწის ნაკვეთები	6 182 750,00	-	6 182 750,00
ეზოს კეთილმოწყობა	141 474,59	208 674,25	350 148,84
დაუმთავრებელი მშენებლობა	31 276 485,51	(31 276 485,51)	-
საინვესტიციო ქონება	-	38 980 245,75	38 980 245,75
სამშენებლო ინვენტარი	26 214,12	5 325,24	31 539,36
მანქანა-დანადგარები	-	269 138,97	269 138,97
სხვადასხვა ინვენტარი	-	519 985,23	519 985,23
საოფისე ტექნიკა	-	12 093,23	12 093,23
ავეჯი და ინვენტარი	191 542,07	562 925,54	754 467,61
სატრანსპორტო საშუალებები	249 150,80	-	249 150,80
	38 067 617,09	9 281 902,70	47 349 519,79

აკუმულირებული ცვეთა

მიწის ნაკვეთები	-	-	-
ეზოს კეთილმოწყობა	-	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	(625 529,71)	(625 529,71)
სამშენებლო ინვენტარი	(4 825,29)	(5 526,08)	(10 351,37)
მანქანა-დანადგარები	-	(40 136,04)	(40 136,04)
სხვადასხვა ინვენტარი	-	(47 370,34)	(47 370,34)
საოფისე ტექნიკა	-	(1 342,98)	(1 342,98)
ავეჯი და ინვენტარი	-	(94 157,32)	(94 157,32)
სატრანსპორტო საშუალებები	(2 308,13)	(24 915,08)	(27 223,21)
	(7 133,42)	(838 977,55)	(846 110,97)

შპს გამას ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

საბალანსო ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	6 182 750,00	-	6 182 750,00
ეზოს კეთილმოწყობა	141 474,59	208 674,25	350 148,84
დაუმთავრებელი მშენებლობა	31 276 485,51	(31 276 485,51)	-
საინვესტიციო ქონება	-	38 354 716,04	38 354 716,04
სამშენებლო ინვენტარი	21 388,83	(200,84)	21 187,99
მანქანა-დანადგარები	-	229 002,93	229 002,93
სხვადასხვა ინვენტარი	-	472 614,89	472 614,89
საოფისე ტექნიკა	-	10 750,25	10 750,25
ავეჯი და ინვენტარი	191 542,07	468 768,22	660 310,29
სატრანსპორტო საშუალებები	246 842,67	(24 915,08)	221 927,59
	38 060 483,67	8 442 925,15	46 503 408,82

6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს

სავაჭრო ვალდებულებები	2024	2023
მომწოდებლები	1 133 397,06	893 434,92
მიღებული ავანსები	1 153 982,59	1 352 601,11
სხვა ვალდებულებები	79 072,71	207 608,50
	2 366 452,36	2 453 644,53